ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1993
ხუთშაბათი
17
ივნისი
№24 (10615)
ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

განგაში: ავიცდინოთ ეკოლოგიური საფრთხე!

## ანთებული გულით გადასაწყვეტი

ამ დღეებში გაიმართა ეროვნულ—პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის" ზუგდიდის საკრებულოს კონფერენცია, რომელმაც სხვა მწვავე, საჭირბოროტო საკითხებთან ერთად იმსჯელა რეგიონში არსებული საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობის რადიკალურად გაჯანსაღების პრობლემაზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამავე პრობლემატიკას საგანგებო ყურადღება დაუთმო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა შეხვედრამ ქალაქისა და რაიონის აქტივთან. აქაც გამოიკვეთა ერთიანი სულისკვეთება ამ მიმართებით ყველა ჭეშმარიტი ზუგდიდელის, როგორც ოფიციალური მმართველობის ორგანოების, ისე ეროვნულ—პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების, ძალისხმევათა გაერთიანებისა ღონისძიებების კოორდინირებულად წარმართვისათვის.

გადაწყდა მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან რეგიონში ორგანიზებულად ჩატარდეს ეკოლოგიური უსაფრთხოების ერთთვიური, რომელიც წარიმართება წინასწარ განსაზღვრულ—რეკომენდირებული კომპლექსური პროგრამის შესაბამისად.

შეიქმნა კომისია ამ მრავალმხრივი საშვილიშვილო კამპანიის მაღალორგანიზებულად ჩატარებისათვის.

აღნიშნულ ღონისძიებებზე მიღებულ იქნა მიმართვა რეგიონის მოსახლეობისადმი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

### მ ი მ ა რ თ ვ ა რეგიონის მოსახლეობისადმი!

თანამემამულენო. ყველანი ვართ მოწმე იმისა, თუ რა სისასტიკით გვეპყრობა ულმობელი დრო. აუტანელ ზღვარს მოუახლოვდა უმძაფრესი პოლიტიკური კატაკლიზმებით, სოციალური სიდუხჭირით, ზნეობრივი დაქვეითებით გამოწვეული გაუსაძლისი ყოფა. ნუ დავამატებთ ამას ეკოლოგიურ ანარქიას, რომელიც საბოლოოდ მოანგრევს სხეულისა და სულის, საერთოდ ორგანული ბუნების მთლიანობის ოდინდელ, მყარად ჩაკირულ ბურჯს, ჩაგვძირავს განსაცდელისა და დაღუპვის საზარელ შეგრძნებაში.

გადაჭრით დავგმოთ, ზურგი ვაქციოთ გარემო სამყაროსადმი ტექნოკრატიულ, არაეთიკურ, აგრესიულ დამოკიდებულებას. გვახსოვდეს, რომ ჩვენი გადარჩენა არა ბუნებისადმი მძლავრობაშია, არამედ კეთილგონივრულ თანამშრომლობაში, რომელიც ერთადერთი გარანტია იმისა, რათა არასოდეს გახუნდეს ჭეშმარიტი არსი სტრიქონებისა: „ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა".

ათასგზის იავარქმნილი საქართველო სოფლიდან იწყებდა აღორძინებას. სოფელი კი უპირველეს ყოვლისა ტყეა, მდინარეა, ჭალაა, ღელეა. და ბუნების ამ მწვანე ოაზისებს დღეს სასიცოცხლო მაჯა მოუდუნდა, სუნთქვა უჭირს. ვაიქართველები თვითნებურად, განუკითხავად ჭრიან, ჩეხავენ ტყის კორომებს, ქარსაცავ ზოლებს, აბინძურებენ წყლებს, ჰაერს.

შევჩერდეთ, ხალხნო. სანამ ხელში „დრუჟბას", ან ნაჯახს დავიჭერდეთ, ღრმად გავიცნობიეროთ ის აუცდენელი უბედურება, რასაც ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ვუმზადებთ. თუ ასე ბარბაროსულად, ყოველგვარი წესებისა და ნორმების ფეხქვეშ გათელვით ვაჩანაგეთ ჩვენი ფლორა, სულ მოკლე ხანში ყველაფრის წამლეკავი გრიგალები ითარეშებენ ოდიშის უკაცრიელ მიწებზე. და ამისთვის შეგვაჩვენებენ, დაგვწყევლიან მომდევნო თაობები, ჩვენი სისხლი და ხორცი.

თანამოქალაქენო! ნუ დავუხუჭავთ თვალს იმ ეკოლოგიურ საფრთხეს, რომელიც დამოკლეს მახვილივით კიდია ჩვენს თავზე. დავაკვირდეთ და ღრმად გავითავისოთ ის მომაკვდინებელი ქრილობები, რასაც ვაყენებთ ჩვენს საცხოვრისს, ჩვენს მაცოცხლებელ გარემოს. უგუნური, უპასუხისმგებლო კაცი, რომელიც რეკომენდირებული დოზების უგულებელყოფით მოაფრქვევს მხამქიმიკატებს მწვანე საფარს, ნაირგვარი მავნე ნივთიერებებით. აბინძურებს სახნავ—სავარგულებს. მოურჩენელი დაავადებებისათვის წირავს ნიადაგებს, წყალსაცავებს, მდინარეებს და სხვა სასიცოცხლო არტერიებს. და ამ ათასნაირი შხამით, ტოქსინით დაწამლული მიწის წიაღიდან ბუმერანგივით უკან გვიბრუნდება ასობით და ათასობით ქართველთა შთამთქმელი, ათასსახოვანი ვერაგული ავადმყოფობანი.

ამიტომაც, ერთი წუთითაც არ უნდა წაიშალოს ჩვენი გონების ეკრანიდან განგაშის ზარივით ჩამოკრული გაფრთხილება:

წყლისმიერი, თუ ქარისმიერი ეროზიით, ხელმიშვებული რეკულტივაციით, სხვადასხვა სასუქებისა და შხამ—ქიმიკატების ცუდი შენახვა—დაცვით, მიწის რესურსებისადმი უყაირათო მიდგომით ჩვენ კატასტროფულად და ვაჩქარებთ ნიადაგების გამოფიტვა—დეგრადაციის ულმობელ პროცესს. ძნელი არ უნდა იყოს არავისთვის, ყოველივე ამის საბედისწერო შედეგების რეალურად წარმოდგენა. ერთ სულ მოსახლეზე სახნავი მიწების შემაშფოთებელი სიმცირით გაწამებული ხალხი, მეტადრე გეორგიანელები, მიწათმოქმედების უძველესი და უდახვეწილესი ტექნოლოგიით აღჭურვილნი, კი არ უნდა ვშხამავდეთ და ვაწყლულებდეთ მარჩენალ მიწას, არამედ თვალის ჩინივით უნდა ვიცავდეთ და ვაკულტურებდეთ მის ყოველ გოჯს.

შეუძლებელია არ აღივსო ძრწოლით, როცა ხედავ, თუ როგორ იმარხება ჩვენი ქალაქის ქუჩები და მოედნები, პარკები და გაზონები ჯართისა და ნაგვის მთებით, როგორ მიღოღავს ათასგვარი სიბინძურის არტახებით შებორკილი ჩხოუშია თავის დაშრეტილ კალაპოტში. ქალაქი დასერილია აყროლებული წუმპეებით, შმორიანი, ჩაბინძურებული კუთხე—კუნჭულებით, რომლებიც სხვადასხვა ინფექციურ სნეულებათა ფეთქებადსაშიშ კერებს წარმოადგენენ. ბუნებრივია, ყოველივე ამის ცქერა, ჯანმრთელობის დამანგრეველ ფაქტორებზე რომც არაფერი ვთქვათ, ამახინჯებს ადამიანთა თვით ფსიქიკას, იწვევს მათ სულიერ დასნეულებას.

სანეპიდსადგურის, გარემოს, ფლორას და ფაუნას დაცვის სამსახურის თანამშრომლებს მოვუწოდებთ იქცნენ ნამდვილ მეციხოვნეებად ასე საშიშად აზვირთებული ანტისანიტარიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების, ფირმების, ასოციაციების ხელმძღვანელებო, სოფლის გამგებლებო, ქუჩის კომიტეტების თავმჯდომარეებო! წინ აღუდექით დედა—ბუნების ულმობელ რბევას და მოწამვლა—დაბინძურებას. თქვენს ხელთაა უამრავი ბერკეტი, რომლითაც შეგიძლიათ აღკვეთოთ ნებისმიერი ეკოლოგიური თვითნებობის ფაქტი თქვენს სამოქმედო არეალში.

მივმართავთ ჩვენს ინტელიგენციას, ტექნიკური, თუ ჰუმანიტარული სფეროს წარმომადგენლებს: ნუ დააყოვნებთ, მიაშურეთ ადგილებზე ქუჩის კომიტეტებს, სოფლებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და ესაუბრეთ თანამემამულეებს ამ უმწვავეს პრობლემებზე. ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვნად დააჩქარებს გარემოს გაჯანსაღებისათვის რეგიონში წამოწყებულ სახალხო მოძრაობას.

უპირველეს ყოვლისა იმედიან მზერას თქვენ მოგაპყრობთ, დასუფთავების სამსახურის მესვეურნო. თქვენა ხართ ის მაშველი რგოლი, ვინც ეკოლოგიური ღვარცოფით წალეკვისაგან უნდა გადაარჩინოთ ზუგდიდი.

ავტომატ-ტყვიამფრქვევებით შემოსეულ მარბიელზე ნაკლებ საშიში როდია ის ანტიზუგდიდელი, რომელიც ოჯახის ნაგავს ურცხვად ქუჩაში და მოედანზე ყრის და ამით გვიწამლავს სასიცოცხლო სივრცეს. სხვას რომ თავი დავანებოთ, მაღალი იდეალებისათვის ასე ხანჯალივით შემართულ ოდიშარებს არ გვეკადრება მონურად თავი მოვუდრიკოთ ანტისანიტარიის საშინელ დრაკონს.

ჩვენო სისხლო და ხორცო, ძმებო და დებო! მოგმართავთ თითოეულ ზუგდიდელს მაქსიმალური ძალისხმევით და პასუხისმგებლობით ჩაებათ ყველგან და ყველა უბანზე სისუფთავისათვის ბრძოლაში. ჭეშმარიტი ეროვნული სულით უნდა ავენთოთ იმისათვის, რომ ამდენი ტანჯვა გადატანილი, მაგრამ მაინც გაუტეხელი ზუგდიდი საჯიჯგნად არ შევატოვოთ ტოტალურ ანტისანიტარიას.

გამოვცოცხლდეთ, ამოვძრავდეთ, გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები,

სანამ გვიან არ არის!

მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!

## ვეღარავინ აღუდგება წინ

მავანს ებადება კითხვა: რატომ ხდება სამეგრელოზე აქცენტის გაკეთება, როცა ქართველი ხალხის სულიერ გაერთიანებაზეა ლაპარაკი. ამ მომენტის გასაშიფრავად ჩვენი ხალხის მიერ გამოვლილ ისტორიის ნარ—ეკლიან გზას უნდა. გადავავლოთ თვალი. გარეშე მტრების შემოსევების მოგერიება მაშინ ხერხდებოდა ხოლმე, როცა საქართველოს ყველა კუთხე ერთ მუშტად შეიკრებოდა და უკუაგებდა მაოხართ.

სხვადასხვა დროს ხან ქართლი, ხან კახეთი, ხან ოდიში იღებდა თავის თავზე ხალხის ერთიანი ეროვნული დროშის ქვეშ გაერთიანებას. ამჟამადაც უმძიმესი ისტორიული კატაკლიზმების წინაშე ვიმყოფებით. სახეზეა უცხოური ექსპანსია, შენიღბული თვალთმაქცური პოლიტიკური ფორმებით, მზაკვრული სვლებით. მტერი ცდილობს. ქართველი ხალხის გათიშვას, რათა შემდგომ უფრო ადვილად მოახერხოს საკუთარი დიდმპყრობელური გეგმების განხორციელება.

ქრესტომათიულ ფაქტად არის ქცეული პერიოდი, როცა ჯერ კიდევ პრექრისტიანულ ეპოქაში, უცხოური ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში როგორ ამოუდგნენ ერთმანეთს ქართლის მეფე ფარნავაზი და ეგრისისა—ქუჯი. სწორედ მათი საერთო ძალისხმევით იქნა ძლეული აზონი. ამით დაედო ფაქტიურად სათავე ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ანდა ავიღოთ ცოტნე დადიანის გმირობა. კოხტასთავს მისი რაინდული საქციელი სხვა ქართველ ერისთავებთან ერთად გახდა ის ეროვნული მუხტი, რამაც გააერთიანა საქართველო და შეაძლებინა მონღოლური უღლის გადაგდება.

უნიკალური მოვლენაა ოდიშელი კაცი. მისთვის უცხო იყო განკერძოებისაკენ ლტოლვა. იგი მუდამ იყო ზოგად ქართულ ცნობიერების კატალიზატორი. ახლაც ამ მისიის მტვირთველია. თუ ყველანი ერთად დავდგებით, მივაღწევთ იმ სანუკვარ მიზანს, რასაც ჭეშმარიტი დამოუკიდებელი ქვეყანა ქვია.

ოღონდ ერთიანი, შეუვალი იყოს ეს ნება.

ნ. რაფავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაროვე გზა შენი

# ქუჩა-ქუჩა დავდივარ და...

ეს ბიჭები 17—18 წლისანი არიან... აშოლტილები, მხარბეჭიანები და წელწვრილები, უცხოურ სპორტულებში გამოწყობილნი ყოველდღე, დილიდან გვიან საღამომდე, ქუჩაში დგანან. ამჯერადაც შეკრებილან. გაცხარებული კამათისას შევესწარი. გაიტრუნნენ.

ერთ—ერთ მათგანს, ასაკით უფროსს, საგაზეთოდ, საუბარი ვთხოვე.—ხათრს ვერ გაგიტეხ, კი, ბატონო, რაზეც გნებავს ვისაუბროთ, ოღონდ ერთი პირობით: ჩემი ვინაობა არ დაასახელო, ბიჭები „ამიხტებიან", ყველას თავისი აზრები აქვსო.

შევთანხმდით.

—რაზე კინკლაობდით?

—რაზე იქნებოდა, პოლიტიკაზე.

—კონკრეტულად...

—მე არ მჯერა, მ ეტაპზე, საქართველოს დამოუკიდებლობის.

—იმათ?

—რა დღეს, რა ხვალ დამოუკიდებლები ვიქნებითო.

—შენ რატომ არ გჯერა?

—ჩვენ მოჩვენებით ახლაც კი ვართ დამოუკიდებლები, მაგრამ... ადრე ვამბობდით: ოღონდ დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ, თორემ თავის რჩენა გაგვიჭირდება? აგერ ჩაი, ციტრუსი, კურორტები. ავაყვავებთ ყველაფერსო. რა გამოვიდა? **როგორც კი პრაქტიკულად გადავდგით დამოუკიდებელი ნაბიჯები, დავსცხეთ ერთმანეთს.** დედა შევუგინეთ ძმას. შენი ჩაი, ციტრუსი და კურორტები ვის ახსოვს? ნადგურდება და ინგრევა ყველაფერი. ლამის კუჭი გაგვიხმეს შიმშილით. რაღაც დაუპროგრამებელი რობოტებივით უაზროდ ვიქცევით. ერთი ანეკდოტის გმირი დედაბერივით დავიჩემეთ „დამოუკიდებლობა" და ვართ მისავათებულები. წინ ვერ წავდგით ნაბიჯი. პირიქით.. არა, იმასაც კი ვამბობთ, რა დაგვემართა ქართველებს, მტერმა ერთმანეთი როგორ ამოგვახოცვინაო, მაგრამ.., ეს მხოლოდ სიტყვით, საქმით ისევ ვხოცავთ ერთმანეთს, ისევ ვანგრევთ. საერთო ენა ვერ გამოვნახეთ ერთმანეთში. ეტყობა, საქართველოში ყოველივე—სულიერი თუ უსულო რომ გაცამტვერდება, მაშინ მოვალთ გონს..

—შენ რას ფიქრობ, რა გვიშველის?

—სანამ მე და ჩემი ტოლი ბიჭები, ასე უსაქმოდ ვიქნებით ქუჩაში, როგორც ამ წუთას, საქართველო ვერასდროს იქნება დამოუკიდებელი და მდიდარი ქვეყანა.

—თქვენ რა შუაში ხართ?

—აგერ აქ, ჩვენ ხუთნი ვდგავართ, იქით კიდევ—ხუთი, სხვა ქუჩებში უფრო მეტია. მთელი ქალაქის ბიჭები ქუჩაში არიან. და განა მარტო ჩვენს ქალაქშია ასე, მთელს საქართველოში. ახალგაზრდების უმრავლესობა უმუშევარია. კი, ზოგი სტუდენტია, ზოგი აფხაზეთშია, ზოგი „ზვიადისტია" თუ „შევარდნაძისტი", მაგრამ უმრავლესობა მოუწესრიგებლად ცხოვრობს. ქურდობს, მორფინისტია, კლავს, ათასგვარ ბოროტებას ჩადის.. მთელს საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი ადამიანი თუ ქმნის დოვლათს, პროდუქციას. ნედლეული არ შემოდის, თუ შემოაქვთ კერძო პირებს და მის ასავალ—დასავალსაც ნუ იკითხავ. ძველი შემორჩენილი მორჩა. დადექი და იყვირე ახლა, დამოუკიდებელი ვართ.. იმპერია, ჩვენი ყბადაღებული იმპერია, ხარხარებს, ალბათ, ამის გამგონე. უქონელი, მშიერი, მწყურვალი, ტიტველი გინდა დამოუკიდებელი იყავი და გინდა.. ზარმაცები ვართ ქართველები.

—შენ რატომ არ მუშაობ?

—ისე მეკითხები თითქოს ზუგდიდელი არ იყო. სად ვიმუშაო? ვინც მუშაობდა ისიც სახლში მიაბრძანეს. ნედლეული არა აქვთ საწარმოებსო. თუ ვინმე და რამე მოძრაობს—ბიზნესი და კომერცია. მაგას სხვა რისკი უნდა...

—მგონი, სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობდი...

—მშობლებმა არ გამიშვეს ს ქალაქში—საშიშიაო. ზუგდიდის უნივერსიტეტში კი არ მინდა. ჩემს ახლო—მახლო ვისაც ვიცნობდი წერა—კითხვის უცოდინარს, მაგრამ შეძლებულს, ყველა მეთერთმეტე კლასიდან ავტომატურად იქ ჩაირიცხა. მალე, დიპლომიანების ქალაქი გახდება ზუგდიდი. ეს ცუდია, დაცინვაა, უბრალოდ. სწავლის გაუფასურებაა.

—რას აკეთებ მთელი დღის განმავლობაში, რითი ერთობი?

—კაი, რა..

—ხომ შევთანხმდით, გულახდილად ვისაუბრებდით...

—არაფერს არ ვაკეთებ. ადრე ბევრს ვკითხულობდი. მერე ერთმა ძმაკაცმა მითხრა: მოდი, რა, შეეშვი მაგ ზღაპრებს. ხომ ხედავ, ცხოვრებაში ყველაფერი უკუღმააო. მერე უცებ, მეც აღმოვაჩინე, რომ ჩემი ძმაკაცი არ ტყუოდა და... „მოვისროლე" წიგნები, მახსოვს, ბოლოს მოემს ვკითხულობდი რუსულად. „თეატრი" გაქვს წაკითხული?

—დიახ, კარგი ნაწარმოებია.

—ყველაფერი, სისულელეა, არ ღირს, არც გაზეთებს ვკითხულობ უკვე. ერთი მეორეს აგინებს, მეორე—პირველს. რა უზნეობაა?! თავისუფალი პრესა ბილწსიტყვაობას ნიშნავს?! ტელევიზორს ჩართავ და ყველაფერი „გადმომღერებულია" რუსული და საზღვარგარეთული გადაცემებიდან. ორიგინალურს ვერაფერს ვქმნით, არადა, ყოველთვის გვახსოვს, რომ უნიჭიერესები ვართ, რომ მეხუთე საუკუნეში დამწერლობა გვქონდა, მეთორმეტეში რუსთაველი გვყავდა. ლამის დავამტკიცოთ, რომ მსოფლიო ცივილიზაციამ დასაბამი საქართველოდან აიღო. ხო, ქალაქში კინო არ არის, თეატრი არ არის. ერთადერთი ოთხშაბათობით პრეზიდენტის მომხრეთა მხარდამჭერი საინფორმაციო მიტინგებია. ესაა ჩვენი ახალგაზრდული ცხოვრება. ხანდახან მეგობრები ვიდეოზე თუ დამპატიჟებენ. უკვე ისიც მომბეზრდა.

—შენი მეგობრებიც ასე არიან.. მთელი დღე უქმად ხართ?...

—ჰო, რა. ვიცინით. ვხუმრობთ, ვთამაშობთ ხან „ჯოკერს", ხან „დომინოს".

—ისე თუ.., ფულზე?

—შოკოლადზე, შამპანურზე სიგარეტზე.. ფულზეც..,

—ბევრს ეწევით? მარტო სიგარეტს ეწევით თუ... „სხვასაც"?..

—მოდი რა, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ..

—მაინტერესებს.

—ჰო, ხან „სხვასაც". რა გაგიკვირდა? ხანდახან რა.. ბევრი ფული ვისა აქვს? ან მტრისას, თუ მიეჩვიე და ვერ იშოვე...

—ვინც ეჩვევა და ფული არა აქვს?

—ნებისმიერ რისკზე მიდის. მურტალი რამეა. გონებას გიკარგავს მისი წყურვილი. გეფიცები მაგ ამბავში არა ვართ გასვრილი.

—მჯერა. შეყვარებული გყავს? ზუგდიდში ბევრი ლამაზი გოგოა...

—არა. ლამაზები არიან, მაგრამ მარტო ფულიანი ბიჭები მოსწონთ. თუ „გაქვს", ყველაზე სასურველი „კავალერი" ხარ და თავს გაწონებენ, არ გაქვს და... ვის დაკარგვიხარ?

—არაფერზე ოცნებობ?

—ოღონდ ნორმალური ცხოვრება მოვიდეს...

—რას ინატრებ..

არაფერს. ო. მთლად წყალწაღებული გეგონები ახლა. არც მასეა. გული გასიებული მაქვს. აი, როგორც ერთ სიმღერაშია „ქუჩა—ქუჩა დავდივარ და გულით სევდას დავატარებ". ხანდახან მეჩვენება, რომ ყველაფერი მბეზრდება. არავინ, არაფერი არ მინდა. არადა, რა ვიცხოვრე ჯერ, რაღაც 18 წელი.., ოთხმოცი წლის მოხუცივით კი ვარ.., არა, რაღაც უნდა გავაკეთო, უსაქმურობისთვის, საკუთარ თავზე ვბრაზდები, მაგრამ რა... რა?!

ესაუბრა **ნ. მოსიძე,**

# კაცი იმედით ცოცხლობს

კუპონების შემოღებას საზოგადოების ერთი ნაწილი იმედით შეხვდა. ეგონათ, რომ ამით ერთგვარად დარეგულირდებოდა საფინანსო—საკრედიტო ურთიერთობაში თავჩენილი არაერთი თავსამტვრევი პრობლემა, მაგრამ მათი ამდაგვარი ვარაუდები არ გამართლდა. პირიქით, კუპონებმა მოსახლეობაში უკმაყოფილებისა და მღელვარების ახალი ტალღა გამოიწვია. ნაცვლად სოციალური ფაქტორების შერბილებისა, ფულის დროებითმა ნიშანმა კიდევ უფრო დაძაბა მყიდველ—გამყიდველთა ურთიერთობა. ამაზე მეტყველებს მწვავე კონფლიქტური სიტუაციები, რომლის მოწმე თითქმის ყოველდღე ვხვდებით საკოლმეურნეო ბაზარსა, თუ სხვა სავაჭრო ობიექტებში. საქმე ზოგჯერ ცემა—ტყეპამდეც კი მიდის და, როგორი აღსაქმელია სცენა, როცა ისედაც მამასისხლად დაფასებული ერთი კილოგრამი შაქარიც ვერ შეგიძენია კუპონებზე.

ამასწინათ სპეციალური სხდომა ჩაუტარებიათ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. საინფორმაციო საშუალებებმა გვაუწყეს, რომ რესპუბლიკის ვიცე—პრემიერი რ. გოცირიძე პირდება მოსახლეობას საკითხის უმოკლეს დროში მოგვარებას.

მისი ვარაუდით, კუპონი უნდა გახდეს ერთადერთი საგადამხდელო საშუალება საქართველოში.

ღმერთმა უსმინოს ბატონ რომანს, ასე მოკლე დროში თუ შევძელით რუსული მანეთის კლანჭებისაგან თავის დახსნა, იმედია, „ჩრდილოეთის დიდი დათვიც" მალე მოგვეშვება და ეგაა.

ასეა, კაცი იმედით ცოცხლობს.

**ჯ. თოლორდავა.**

# უნდა გამრავლდეთ ქართველები

თვრამეტი წელია ამ გზას მიუყვება ეს სანდომიანი მანდილოსანი. ვინ იცის, რამდენ პაწიას გამოჰყვა მისი ხელების სითბო რესპუბლიკური საავადმყოფოს ჩვილ—ბავშვთა განყოფილებიდან.

ვალია შელიხოვა—ამირაშვილი გულისხმიერი და კვალიფიციური მედდაა. ნებისმიერი ახალგაზრდა დედისთვის მასთან ურთიერთობა სასიამოვნოა: მეგობრული რჩევა, თუ როგორ უნდა გაუფრთხილდნენ პატარებს, რომ ისინი ჯანმრთელები და ლამაზები იყვნენ, დიდ დახმარებას უწევს მათ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ჩვილბავშვთა განყოფილება (გამგე მადონა გვაზავა) სამოც საწოლზეა გათვალისწინებული.

—ადრე იმდენი ბავშვი იბადებოდა, გადავსებული იყო პალატები. ამჯერად მხოლოდ 11—12 ჩვილი თუ გვყავს —ქალბატონი ვალია ჩვენთან საუბარში არ მალავს გულისტკივილს შობადობის საგანგაშო შემცირების გამო,—ყველანი ჩაფიქრებულები ვართ, რა არის ამის ძირითადი მიზეზი. ნუთუ ის რომ ადამიანებს სოციალურად გაუჭირდათ, ეგების ბინძური ეკოლოგიური გარემო, შეიძლება პოლიტიკური სიტუაცია? ომი?. თუ ქართველებს გადარჩენა გინდათ უნდა გამრავლდეთ.. მცირე ერი ხართ, მსხვერპლი კი დიდი გაიღეთ.

ქალბატონი ვალია უკრაინელია. საქართველო მისი მეორე სამშობლოა— სამშობლო სადაც ცხოვრებამ სიტკბოსთან ერთად ბევრი მწარეც ასვა. უკურნებელმა სენმა ვაჟიშვილი წაართვა. ახლა მთელს იმედებს ერთადერთ ქალიშვილზე ამყარებს,—შვილიშვილებზე, ვოცნებობ, ერთი სული მაქვს, როდის გავხდებიო ბებია.

ყველა კეთილი სურვილი ასრულებოდეს პატარებზე უშურველად მზრუნველ ქალბატონს.

**ნ. მიქავა.**

გამოძახილი

# სხვანაირად ღმერთმა ნუ ქნას

ამასწინათ შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში გრანდიოზული მანიფესტაცია ჩაუტარებიათ სიფხიზლის მხარდასაჭერად. აქ დაწესებულია სპეციალური დღესასწაული, რომელიც იმართება ხოლმე საშიში სენის—ალკოჰოლიზმის აღკვეთისათვის ბრძოლის ეგიდით. მაგრამ რატომღაც არავინ არ ხურავს ამ მიზნით სასმელების მწარმოებელ ქარხნებს და ფირმებს, არც სპეციალური ტექნოლოგიური ხაზების გადაპროფილება ხდება. ვისმენდი ამ ცნობას ტელევიზორის ეკრანიდან და მაგონდებოდა ჩვენს ყოფილ „დიდ სამშობლოში", ეგრეთწოდებულ საბჭოთა კავშირში, პერესტროიკის ყბადაღებულ წლებში ლიგაჩოვის ხელდასხმით გაჩაღებული ანტიალკოჰოლური კამპანია. ისტორიამ დააფიქსირა ამ „მასობრივი ღონისძიების" კომიკური ფორმები, ის პარადოქსული სიტუაციები, თუ კურიოზები, რომლებიც თან სდევდა ლიგაჩოვისეულ სიახლეს.

ზემოთ აღნიშნული ფაქტების კონტექსტში ამჟამინდელი ჩემი სამეგრელოს უხუგეშო ვითარება გვახსენებს მწარედ თავს. სასმელის ფასი თითქმის მიუწვდომელი გახდა. ლხინის, გართობის მოყვარული ხალხი უჩვეულოდ მოწყენილი და უხალისო ჩანს. და ამაში სხვა უმძიმეს ცხოვრებისეულ კოლიზიებთან ერთად დეფიციტად ქცეული სხვადასხვა სასმელების ქრონიკულ დეფიციტს ლომის წილი უდევთ.

მაგრამ დროით მოტანილ ამდაგვარ უხერხულობებს როდი ეპუება ბევრი რამის მნახველი და გადამტანი ხალხი, შესანდობარი ჭიქის წაქცევა და სხვა მხიარული პურობანი კვლავაც რჩება ჩვენი ადათ—წესების კოდექსის მარად ურყევ პუნქტად. სხვანაირად ღმერთმა ნუ ქნას.

**ა. ლოგუა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული გმირის ხსოვნა — ჩვენი სულიერი ფასი!

# ილოცე, მერაბ!

მართლაც ულმობელი ყოფილა თანატოსი: გაგწირათ, დაგლეწათ. ..., ათასგზის ვაებაგამოვლილს ასე ადვილად თუ მოგერეოდათ რამე ვინ იფიქრებდა.

როგორ გვჭირდებოდით, მერაბ! ის-ის იყო ძილბურანიდან გამოსულნი ფეხზე ვდგებოდით, თვალებში შემოგციცინებდით თქვენ და ზვიადს. თქვენი ერთი ომახიანი შეძახილი „მამულიშვილნო“ და თითქოს თავიდან ვიბადებოდით. იმედიც მძლავრობდა—კვლავ გაბრწყინდება საქართველო ძლიერი და ამაღლებული.

თქვენი გარდაცვალების შემდეგ ჭირი მოგვიმრავლდა ქართველებს. სისხლით ირწყვება იბერთ მიწა. შიში, სიკვდილი და შიმშილი დაძრწის. სასოწარკვეთილნი ვართ: საით, საით მიგვაქანებს ბედის ბორბალი?-

როგორ გვჭირდებით... გვჭირდება თქვენი სიტყვა, თქვენი გაძლოლა. ერმა ხომ სიცოცხლეშივე გამოგიცხადათ ნდობა —ეროვნული მოძრაობის სინდისი გიწოდათ.

ბევრი სვამს კითხვას: სად, ვისთან დადგებოდაო დღეს მერაბი.

ყინულეთმა— ცივმა და შორმა ვერ მოგდრიკათ, ერთადერთი ვაჟის სიკვდილმაც ვერ დაგაჩოქათ და... რა საკითხავია სად იდგებოდით. თქვენ, როგორც სამშობლოს უდიდესი ჭირისუფალი, ვისაც თავი ზვარაკად მიუტანია თავისუფლების სამსხვერპლოზე, ყოველთვის იქ იყავით, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა და ტკიოდა მამულს და ეხლაც იქ იქნებოდით, სიმართლის გზა არასდროს დაგიგდიათ და არც ახლა დააგდებდით, ერს წინ წარუძღვებოდით თქვენს ქრისტესმიერ ძმასთან ერთად და გაამარჯვებინებდით...

ზუგდიდელებმა ამ რამდენიმე წლის წინ, აფხაზური კონფლიქტის პირველ დღეებში გიხილეს თავიანთი ქალაქის ქუჩებში —თეთრი, ბავშვივით გულჩვილი და სპეტაკი. ჩაფიქრებული, გულნატკენი დაა—ბიჯებდით ჩვენს გვერდით. ჩვენც გუნდ—გუნდად დაგ—სდევდით შორიახლოს..

დიდი იმედი იყავით ჩვენთ—ვის::.

ის დღეები დაუვიწყარია. იყო შიში, მსხვერპლი, მაგრამ იყო იმედი, რომ ერთად მყოფთ ვერა ძალა ვერ მო—გვერეოდა.

როგორ გვენატრებით მერაბ!

ქალბატონმა ოლღამ ერთგან განაცხადა: შეცად ამაღლებული მერაბის სული საქართველოს დასტრიალებსო.

გვჯერა, მამულის გადასარჩ—ენად ლოცულობთ, მერაბ!

ო, რა ულმობელი ყოფილა თანატოსი..

ლ. ქარაია.
პედაგოგი.

ახალი წიგნები

# „კოლხური დღიური“

ამ დღეებში, ზუგდიდელმა მკითხველმა მიიღო გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების ეგიდით გამოცემული ლექსთა კრებული „კოლხური დღიური“. წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „კოლხური დღიური“ ამ სერიალის პირველი წიგნია მასში წარმოდგენილი ზუგდიდელი ავტორები, ალბათ, მომავალშიც დაიბეჭდებიან და მკითხველი შეძლებს ამ კრებულში წარმოდგენილი ლექსების ავ-კარგის გარჩევასაც და ავტორთა მომავალი შემოქმედებითი ზრდისა და დაკნინების შემჩნევის საშუალებაც მიეცემა.

ერთი სიტყვით, შემოქმედების სრულყოფის საზომი ამ შემოქმედებისადმი მკითხველის სერიოზული დამოკიდებულებაა და არა გამომცემელთა ნება —დაიბეჭდოს მხოლოდ ის, რაც უკვე სრულყოფილია და დაიბეჭდოს მაშინ, როცა ავტორი ცხოვრებისეული გამოცდილებით სოლიდურად გამოიყურება“.

„კოლხურ დღიურში“ წარმოდგენილი ზუგდიდელი ავტორები: მზია დარასელია, ფატიმა ნაჭყებია, ხათუნა როგავა, გურგენ მალანია, ნანა ფიფია, მაია კვარაცხელია, ასმათ შონია, თეა პაჭკორია, ნათია ხუფაცარია, გია ლუბელაძე, რიტა შენგელია, ნანა ეხვაია, ქეთევან ბესელია თავიანთ ნალოლიავებ პოეტურ სტრიქონებს გვთავაზობენ, რაც სამომავლოდ იმედით განგვაწყობს..

ამავე საზოგადოების ეგიდით დაიბეჭდა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის თანამშრომლის ნანა ეხვაიას ლექსების კრებულიც.

ორივე წიგნი გამოცემულია თბილისში, თვითგამოცემის წესით.

თავმდაბლობის ხიბლი

# კეთილი და უკრეტენზიო

ახოვანი, ქაღარა, აუჩქარებელი, ბაგეზე თბილი ღიმილით. დიდის ქალაქში ინტელიგენტი, პროფესიით ინჟინერი —ნოდარ რაფავა. მიუხედავად დღევანდელი აზრთა სხვადასხვაობისა, იგი წონასწორობას არ კარგავს. ყველგან შეუძლია წარმოაჩინოს ჩვეულებური ზრდილ—ობა და თავმდაბლობა.

როცა ნოდარი ჩაგივლის, გებადება სურვილი მასთან გასაუბრებისა. კაცთან, რომელიც საკოლმეურნეობათ-მშენებლობის საბჭოს კოლექტივში აღიზარდა. გამოჩენილი ინჟინერი ვარლამ ზარქუა იყო მისი მეკვლე. როცა იგი ახალბედა ინჟინერს გაცნობდა, ასე იტყოდა— ადამიანები თუ გიყვარს, ნოდარივით უნდა შეგეძლოს თვალებში შეხედვაო.

ბუნებამ მას შესანიშნავ გარეგნობასთან ერთად სათუთი გულიც აჩუქა. ყველას გმირობის ჩადენას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ რომ ვიყოთ კეთილი, უცილოდ ყველას გვევალება.

კეთილად დამაშვრალ ზუგდიდელთა საჩრდილობელი ჭადრების ხეივანი ბევრის მომსწრეა. აქვე წყდებოდა საქვეყნო საქმეები, მხოლოდ სალამო ჟამს, როდესაც შრომით დაღლილები იკრიბებოდნენ...

დღევანდელ ჭრელიაქებულ ცხოვრებაში მოგეხსენებათ ყველა გადასულია პურის საშოვარზე. თონის პურის რიგში დგას ნოდარი. მას სამი პური შეხვდა და დამთავრდა ერთ გზობა ნაცხობი. რიგში მდგომ ხანდაზმულ მანდილოსანს კიდევ საათობით მოუწევდა ცდა, იგი სწუხდა. ნოდარიმ პურები მანდილოსანს მორიდებით გადასცა. თვითონ კი, ხმაამოუღებლად ხელმეორედ ჩადგა რიგში...

...ყმაწვილი დახლის მუშაკ ქალს აუხირდა. არ ეშვებოდა.., ჯიბის საკეცი დანაც მოიშველია, მაგრამ... სად იყო და სად არა ყმაწვილის დანა, უმალ ნოდარის ძლიერ ხელებში აღმოჩნდა. მონუსხულმა ყმაწვილმა ვერაფერი შებედა მას...

... მას არც სახელმწიფო პრემია მიუღია, არც სხვა ჯილდოები, არც ცდილა საკუთარი პერსონის წარმოჩინებას. მაგრამ ხომ არიან ადამიანები, რომლებიც ჩრდილქვეშ ყოფნას არჩევენ და მაინც ანათებენ...

გ. აბულაძე.

# სად ვეძიოთ ცხენის ალკაზმულობა?

ცხენოსნობის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი, თუ რა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ორიოდე წლის წინათ რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში, ზუგდიდის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორის, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის, სპორტის ოსტატის ბატონ გოგი ჭეჟიას პუბლიკაციამ „მეგრული ჯიშის ცხენი შველას ითხოვს.“

ამ დღეებში ჩვენ შევხვდით ბატონ გოგის. გთავაზობთ ამ საუბრის მოკლე ჩანაწერს.

—ცხენის მოშენების პროგრამა თითქმის შესრულებულია. თუ კი უკანასკნელ ხუთიოდე წლის წინათ, აქა იქ მოჰკრავდით თვალს ადგილობრივი ჯიშის ცხენებს, დღეს ყოველ მეხუთე ოჯახს ამშვენებს ჩვენებური ბედაურები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ გლეხობას.

მართალია, ცხენები მრავლდებიან, მაგრამ აქვე გაგვაჩნია ერთობ სერიოზული სატკივარი —სოფლის მშრომელები და ეროვნული ცხენოსნური სპორტის ქომაგები ვერა და ვერ შოულობენ ცხენების ალკაზმულობას. არცერთ სახელმწიფო თუ კომერციულ მაღაზიებში არ იყიდება ალვირები, უნაგირები და მისთანები.

ხოლო კუსტარული ხერხით ნაკეთი ალკაზმულობები დიდ ზიანს აყენებს მათ ფიზიკურ მდგომარეობას— უფუშებს ზურგს, კისერს, ტუჩებს, რის შედეგადაც ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში გამოდიან მწყობრიდან.

დღეს, როდესაც საქართველოში ასე აშკარად იგრძნობა საწვავის სრული დეფიციტი და მწვავე უკმარისობა, როდესაც ძალიან გაძვირებულია საძგზავრო თუ სატვირთო ტრანსპორტის ღირებულება, ჩემის აზრით სავსებით რეალური და პრაქტიკულია ცხენების მოშენების იდეა, როგორც საკარმიდამო ნაკვეთების დასამუშავებლად, ასევე სოფლის ჭირნახულის გადასაზიდად. რა თქმა უნდა, ეს ერთიორად შეუმსუბუქებს სამუშაოს გლეხს, გაზრდის მის შრომისნაყოფიერების კოეფიციენტს. ამიტომაც მიზანშეწონილად ვთვლი —უახლოეს ხანებში საქართველოს რეგიონებში გაიხსნას ცხენების ალკაზმულობათა სამკერვალო საამქროები. ამისთვის კი, რა თქმა უნდა პირველ რიგში საჭიროა ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა, როგორც ადგილობრივი, ასევე რესპუბლიკური ორგანოების მხრიდან. ვიმეორებ, ამით დიდ ეროვნულ საქმეს ჩაეყრება საფუძველი.

ესაუბრა თ. როგავა.

პოეტის გახსენება

50 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტის ლადო ასათიანის გარდაცვალებიდან. მკითხველს ვთავაზობთ მცირე ნაწყვეტს კრიტიკოს რევაზ ჩხარტიშვილის წიგნიდან—„ეპოქის მხარდამხ-რ“, რომელშიაც საინტერესოდ არის წარმოჩენილი 30-იანი წლების ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება:

# ჩვენი ქვეყნის ოქროყანა...

„...ლადო ასათიანის პოეტურ წარმოსახვას ახალი შთაგონებით ალავსებდა ნიკო ფიროსმანიშვილის მადლით ცხებული ფერწერული ტილოები. თვით ნიკო ფიროსმანის სახელი მისთვის ლეგენდა იყო, ისე, როგორც, საერთოდ ქართველი ხალხისათვის. ეტყობა, პოეტი რაღაც საერთოსა და ნაცნობს პოულობდა ფიროსმანის სულიერ სამყაროში.

ლექსში „არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“, იგი მისეული ოსტატობით გვიძერწავს მიუსაფრობაში დაღუპული გენიალური მხატვრის სახეს და ამ გზით გამოკვეთილ პარალელს ავლებს ქართული ზეცის, ქართული ზვარის, ხან მღვრიე და თანაც ანკარა მტკვრის, თბილისისა და ფიროსმანის სიყვარულით ანთებულ გრძნობაში. ლადო ასათიანს ისევე უყვარდა მშობლიური ქვეყანა, როგორც ფიროსმანს. მშობლიური ქვეყნის სიყვარულს პოეტს თვით ფიროსმანის სახეც შთააგონებდა: „ყველა ხევსური და ყველა სვანი, ქართველი ქალი თვალებმაყვალა, ჩემი თბილისი და ფიროსმანი, არ ვიცი ასე რამ შემაყვარა“. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს ლექსი რატომღაც მხოლოდ ფიროსმანის შთაგონებული სახის პორტრეტის გამომხატველად მიაჩნიათ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ფიროსმანის სახე, რომლის ფერწერული გამოხატვა მართლაც რეალობამდე შეძლო ავტორმა, პოეტისათვის უმთავრესად თავისებური ხერხი იყო სამშობლოს სიყვარულის გამოსახატავად, პატრიოტული გრძნობის გადმოსაცემად. ეს პოეტის ორიგინალური მხატვრული ჩანაფიქრი იყო, რაკი ფიროსმანის ტრაგიკულ პიროვნებაში თავისი ქვეყნის უდიდეს და ჭეშმარიტ პატრიოტს ხედავდა, თბილისზე უზომოდ შეყვარებული მხატვარი მთელ თავის ტალანტსა და შემოქმედებით ენერგიას მშობლიური ხალხს მიუძღვნიდა, თუმცა თანამედროვეობამ მისი არსებობა თითქმის არც იცოდა. გალოთებული მხატვარი არასოდეს თავის ნახატს ჰიქა არაყისათვის არ ქმნიდა, როგორც ეს პირადი ნაცნობების დიდ ნაწილს ეგონა. ჰიქა არაყი მისთვის მხოლოდ სულიერი გამხნევება იყო, ფიზიკური ენერგიის მობილიზება იყო, რათა შიმშილით დაუძლურებულ მის სხეულს ფეხზე დგომა და ფუნჯის ხელში დაჭერა შეძლებოდა: „ძილგატეხილი და არეული, ჰიქა არაყით გაიხსნის მაღას, მერე შეკრთება, ვით მთვარეული, და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს“. ეს არის ფიროსმანის პორტრეტული შტრიხი. მაგრამ ფიროსმანისადმი მიძღვნილი ლადო ასათიანის ეს ლექსი პოეტის პატრიოტული გრძნობის რეალური გამომხატველია“.

ქართველი ხალხის სასიქადულო შვილი ჩვენი კუთხის უზომო პატივისმცემელი, მისი თვითმყოფადი კულტურის ღრმად შემცნობი და დამფასებელი გახლდათ. ამის საოცარი მაგალითია პოემა „კოლხიდა“, რომელიც დღესაც აღელვებს მკითხველებს თემის ასახვის სიახლით, სინამდვილის სატოვანი წარმოსახვით.

ბრწყინვალე ლირიკოსის სახელი მარად დარჩება პოეზიის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლების მრავალ თაობათა ხსოვნაში.

თბილი სიტყვა

# დიდხანს გვიცოცხლე

მე დიდი ხანია ვიცნობ ექიმ ლილი ფიჩხაიას, ჩინებულ პიროვნებას, ცნობილი პედაგოგების ნადია და აკაკი ფიჩხაიების ქალიშვილს, იმ პედაგოგებისა, რომლის მაგალითზე აღიზარდნენ ორმოციანი წლების ახალგაზრდები.

ლილისთან საუბარი ყოველთვის მამისა და დედის მოგონებებით იწყება. ეს განუმეორებელი პიროვნებები, სიკეთით სავსენი მკაცრი და მომთხოვნი იყვნენ მოსწავლეების მიმართ. არავის არ აპატიებდნენ შეგნებულად ჩადენილ დანაშაულს, უნებლიე მოქმედების პატიება იყო მათი სიკეთის კრედო.

— ახალბედ ექიმს აქ დამხვდა ლახვეწილი ინტელიგენტი, არისტოკრატული მანერების ექიმი სპირიდონ გარდავა, —ამბობს ლილი. —იგი ტუბერკულოზური დისპანსერის მთავარი ექიმი გახლდათ. გამოკვდილი სპეციალისტი, გვასწავლიდა ამ აკადმყოფობასთან ბრძოლის ყველა მეთოდს. გვასწავლიდა იმას, რაც ოჯახმა, გარემომ დაგვაკლო. ბატონი სპირიდონის ინსტიტუტ გამოვლილი თაობა მადლიერია მისი, რამე თუ მან შთააგონა თეთრი ხალათის ულაქოდ ტარების ხელოვნება. ვტარებთ თუ არა, პაციენტები იტყვიან.

საკუთარ თავზე ცოტას ლაპარაკობს ქალბატონი ლილი, ერთადერთი ექიმი ვაჟის—დათოს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ შევისხებია შავ ფერს.. გული მაინც თბილი აქვს მას, იზიარებს ყველას დარდსა და საფიქრალს, არც გამამხნევებელ სიტყვებს იშურებს მავანთათვის.

ღმერთო, შენ მიეც შველა ყველა ავადმყოფს, ამყოფე კარგად, ჩვენ კი დიდხანს გვიცოცხლე ლილი ექიმი.

ვ. ანდრიაძე.

ჩვენი ყოფის პარადოქსები

# ისევ კუპონებზე...

წვიმს:..

ქოთქოთებს ბაზარი. თუ ივარგებ ისაა, თუ არა და... მშიერი რჩება ოჯახი.

ლამის ბუდეებიდან ამოვარდეს თვალები. რა გინდა სული და გული. დახუნძლულია დახლები. შემოზიდული საქონელიც მრავლობს. შესაშური რეკლამებით შეფუთული ტკბილეული, წვენები, ერთი სიტყვით, ათასგვარი ნუგბარი მაცდურად გეპატიჟება თავისთან.

—რა ღირს?—გული გიფანცქალებს პასუხის მოლოდინში.

—რუსულ ფულზე 1000 (ათასი), —საიცარი სიმშვიდით აპასუხობს გამყიდველი.

—ეგების კუპონებზე მომცე, შენი ჭირიმე!

—არა, ბატონო, ეს იმპორტული საქონელია. სად წავიღო კუპონი?

რას იზამთ მისი საქონელია, საკუთარი, ოქროზე ვყიდი, ისე ხელს არ დაგაკარებინებო რომ გითხრას, რას უზამ, რა ძალა გაქვს, ვის შესჩივლებ. ჯობს, ნერვები არ „დაიფხრიწო" და გაიარო. ვინ იცის, ეგების სხვა შეგხვდეს თვინიერი: ნახევარ ფულზე ან ნახევარ კუპონზე დაგყაბულდა, ან კიდევ სულაც კუპონზე მოგცა მხოლოდ გაძვირებულ ფასში:::

თუ არცერთი არ გაწყობს, ნურც ამაზე გამართავ „კონცერტებს" არაფერი გამოგივა.

აზროვნების ქაოსი თუა დემოკრატია, ვაჭრობაში რად არ არის იგივე?...

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს..

## ფასი: 30 კუპონი ან...

60 მანეთი. ასე ეხუმრება გაზეთი „შანსი" ქართული კუპონებით გულგასენილ, თავგზააბნეულ ადამიანებს.

ჟურნალისტების პროფესიულ ეთიკაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ამჯერად შევეშვათ მათ. მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ ადამიანებზე, რომლებმაც გაზეთის 30 კუპონად გაყიდვას 60 მანეთად გაყიდვა არჩია და უტიფრად გადახაზა პირველი.

ჩვენ კი ზუგდიდელებმა, ქვეყნის დალაგებას რომ ვაპირებთ და მავანთ რაინისმკვნეტელები ვგონივართ, თავდახრილებმა, სიტყვისშეუბრუნებლად ვიყიდეთ გაზეთი „შანსი" თავხედი გამყიდველებისაგან.

ღმერთო, მოგვეც ძალი ამდენი კურიოზის გაძლებისა.

მკითხველი.

## წერილი რედაქციას

# პატარა საქმეშიც

გამოჩნდება ადამიანობა, პროფესიის სიყვარული და სტუმრის პატივისცემა ქუთაისიდან ჩამოსულს თქვენს ქალაქში სათვალე დამეტეხა თქვენ წარმოიდგინეთ. ჩანდაზმული ადამიანისთვის რამდენ მძიმე იქნებოდა ... შეწუხებული ვიდექი ავტობუსის მოლოდინში (ცენტრალურ მოედანზე), ყმაწვილის ხმამ გამომარკვია:—ბიძია, აქვე ახლოსაა ოპტიკა. ხელი მომკიდა და წამომიყვანა. შევხვდი ოპტიკოსს. მანაც გამოთქვა გულისტკივილი, ახალ საქონელს ვერ ვღებულობთ, იქნებ „ძველმანებში" ვიპოვნოთ რამეო..

თვალებზე შუქი ჩამიდგა. ოსტატს მადლობა გადავუხადე, ცოტაოდენი თანხაც. გვარი ვკითხე, ხარჯავა ვარო. სახელი არ უთქვამს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეს პიროვნება იმსახურებს ადამიანთა სიყვარულს.

დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებ მას.

შალვა ფხაკაძე,

ქუთაისი.

ხსოვნა

# ბედნიერ საქართველოზე ოცნებობდა

სიყვარულით „ჭიჭე ვაწას" ეძახდა მთელი ზუგდიდი. ადვილად დაგიახლოვდებოდათ, გულს გადაგიშლიდათ და... მეგობრობას შემოგთავაზებდათ. უშიშარი კაცი იყო. უსამართლობასთან საბრძოლველად იარაღის აღება არჩია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, მის ბუნებაში არასდროს გამკრთალა ფიქრი თანამოძმის გაწირვაზე. არადა, თვითონ კი გასწირეს რამდენიმე ძმაკაცთან ერთად. არ დაინდეს, არაადამიანური სიკვდილისთვის გაიმეტეს.

შერმადინ (კახა) ვაწაძე 22 წლის წავიდა ამ ქვეყნიდან, ცრემლშეუშრობელი მეუღლე და მამის მოლოდინით დაღალული პატარა ქალ-ვაჟი დატოვა.

გაივლიან წლები. ქართველები შერმადინ ვაწაძის დარი ვაჟკაცების ღვწითა და ჯაფით ფეხზე წამოდგებიან, წელში გაიმართებიან და არასდროს დაივიწყებენ სიმართლისათვის მებრძოლ ღიმილიან ახალგაზრდა კაცს, რომელიც ბედნიერ საქართველოზე ოცნებობდა.

ნ. კოზუა.

# დათო ლაშხია

კიდევ ერთი ნათელი სხივი დააკლდა ქალაქს. მან მხოლოდ ოცდაათი გაზაფხულის ხილვა მოასწრო. წავიდა და დაგვიტოვა დიდი ტკივილი. იგი ვაჟკაცურად სწევდა იმ ჭაპანს, რომელსაც მეგობრობა და მოყვასისადმი სიყვარული ჰქვია. ტოლ-მეგობრებისათვის თავდადებული, მათი ჭირისა და ლხინის მოზიარე მათსავე ხელებში დანებდა სიკვდილს.

ახოვანი, ღიმილიანი დაიბადა მშობლიურ ქალაქში, აფრქვევდა სითბოს.

შარშან პირველ ივლისს მივულოცეთ დაბადების დღე, ბედნიერები ვიყავით. წელს კი... ვილოცეთ მისი სულისათვის:

ნათელში ამყოფოს ღმერთმა.

მეგობრები.

## რა დავაშავეთ?

ჩვენს ქალაქში არის და, მგონი, ჯერ არავის გააუქმებია ვეტერანებისა და ომის ინვალიდების სასურსათო მაღაზია. მაგრამ მართალი რომ ვთქვათ, იგი გაუქმებულს არაფრით სჯობია. ვეტერანებს რაში გვარგია გამოცარიელებული შენობა? რამდენი ხანია არ შემოუტანიათ ჩვენთვის პური, შაქარი მცენარეული ზეთი, კარაქი... სამრეწველო საქონელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

კარგად გვესმის, თუ რა კრიზისული ვითარებაა რესპუბლიკაში, უჭირს ყველას. მაგრამ ჩვენი ქალაქისა და რაიონის გამგეობამ რამენაირად უნდა გამონახოს იმის გზა და საშუალება, რომ ჩვენ, ვეტერანებს, მცირედი ყურადღება მაინც მოგვაქციონ სასურსათო პროდუქტების განაწილებისას.

ვ. ჯლამაია,

ომის ინვალიდი.

მკითხველის რეპლიკა

# მ ი ს ა ხ ე დ ი ა

ქალაქის სასაფლაო, წმინდა ადგილი, წესრიგში იქნა მოყვანილი აღდგომის დღეებში. მაგრამ ნარჩენების, უფრო სწორად ნაგავის ზვინი მაინც ხელუხლებელი დარჩა შიდა ცენტრალურ გზაზე. ჭირს გავლა, მითუმეტეს მიცვალებულის გატარება.

კვირას ამ სასაფლაომ მიიბარა ოთხი ადამიანის ნეშტი. გაჭირდა ამ ზვინის გადალახვა. სათანადო სამსახურები ხედავენ ყოველივეს, მაგრამ ალბათ უმანქანობით და უბენზინობით გაიმართლებენ თავს. საქმეს კი არ ეშველება. არადა, გასატანია ნაგავი. ამ მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია.

ქალაქის სამსახურებმა, ჭირისუფლებმა ერთობლივი ძალით უნდა გავათავისუფლოთ ჩაბინძურებული გზა. ცოცხლებს თუ არა, მიცვალებულებს მაინც ვცეთ პატივი

გ. ასათიანი.

სატკივარი

# იქნებ გამოჩნდეს მშველელი

—ვიმენთ, მაგრამ ვეღარ მოგვითმენია, მოგეხსენებათ ნაგავში ცხოვრება ძნელია... ნუ მძრახავთ. მობრძანდით, გვნახეთ და გაიზიარეთ ჩვენი გასაჭირი.

რაიონული საავადმყოფოს წინა ტერიტორია ნაგავსაყრელი, აშმორებული და ამყრალებული ეპიდემიის კერა გამხდარა.

ხომ არ დადგა დრო, მისი შესაფერის ადგილზე გადანაცვლების, უნდა გადაიტანონ ნაგავსაყრელი თორემ.. სარკმელი ვერ გაუღიათ საავადმყოფოში.

* * *

ათ დღეზე მეტია საავადმყოფოს წინ მიედინება კოსტავას ქუჩაზე კანალიზაციიდან ამონახეთქი ბინძური მასა. იწამლება გარემო.

იქნებ გამოჩნდეს მშველელი.

ზ. ანდრიაძე.

ელისო რაფავას ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

მერაბ ჯიქია.

დიდა ფატიმა. მამა გიდევანი. მეუღლე ელადა სოსელია, და ნანა, ბებიები ნადია ჭედია. სულიკო არახამია, სიძე ავთანდილ გაბუჩია, სიდედრი ლიანა, სიმამრი ნოდარ სოსელია. ცოლისძმები: ბესიკი. ხვიჩა, იკა სოსელიები. დისშვილები: სალომე. გოგა გაბუჩიები. ბიძები: აპოლონ არდია. ბოჩია. ამირანი, ოთარი ჩიქოვანები. კუჭუჭი ნაჭყებია. მამიდა ნორა. დეიდები: ვარდიშა, შოთიკა. ემა არდიები. ბიცოლები: ლუდა, ლარისა. თამილა. ტურფა ჩიქოვანები. ნათელა წულაია. ბიძაშვილები, მამიდაშვილები. დეიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

ჯიმშერ გედევანის ძე

ჩიქოვანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20 ივნისს. დაკრძალვა 22 ივნისს დღით სამშაბათს სოფელ ოდიშში (კალინინი) 18 საათზე.

მეუღლე ნუცა, შვილები ნატო. რეზო. თუნთული. გულიკო. ვაჟა თორდია, დები: ლოლა. იანვარა. რძლები: ლილი. მავრა- რადო. შინო. მანანა, ლია. შვილიშვილები: დარიკო. ია. კახა. მაია. ნანა. ცოტნე. შორენა. გელა. ხათუნა. ბაჩუკი. ნინო. ირაკლი. შვილთაშვილიშვილი სალომე ალშიბაიები. ძმა. თამაზი ხუფენიები. სიძეები: არხიპო ხუფენია. ემზარ მოსია. დისშვილები ნელი ალშიბაია, თალიკო შამუგია. ეთერ ნაჭყებია. თალიკო ლამარა. ბონდო მესხიები. ბიძაშვილები. დეიდაშვილები. მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ვანო გიორგის ძე ალშიბაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19. 20. 21 ივნისს დაკრძალვა სამშაბათს. 22 ივნისს სოფ. ჩხორიაში.

სარედაქციო კოლეგია

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

[illegible] ბეჭდვითი [illegible] დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 700. შეკ. №510